ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის სხდომის
ოქმიN3

დაბა ქედა 18 ივნისი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: ამირან დევაძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
როსტომ შერვაშიძე - კომისიის წევრი
უშანგი დუმბაძე - კომისიის წევრი;
მამუკა გოგოლიშვილი - კომისიის წევრი

სხდომას არ ესწრებოდა:
ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ზაზა დავითაძე.
ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმისნიტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - სულიკო ჩხიკვაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

18.06.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან დევაძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	როსტომ შერვაშიძე	კომისიის წევრი	
3	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
4	უშანგი დუმბაძე	კომისიის წევრი	
5	მამუკა გოგოლიშვილი	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა რომ, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2020 წლის 21 აპრილს ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიციირებული იქნა „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი (შემოსული დოკუმენტი №34/04; 21.04.2020 წელი), რომელიც ითვალისწინებდა „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-14 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების სამართლებრივი საფუძვლების შექმნას.

დადგენილების პროექტი სამართლებრივი კონსულტაციის მიღების მიზნით გადაგზავნილი იქნა საქართველსო მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულ დეპარტამენტში (გასული დოკუმენტი №04/32; 21.04.2020 წელი), რომელსაც სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გამოუთქვამს (შემოსული დოკუმენტი №39/04; 05.05.2020 წელი).

ვინაიდან დღეის მდგომარეობით ქვეყანაში პანდემიის აქტიური ტალღა უკვე აღარ არსებობს და „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტი ძალადაკარგულია, ზემოთ დასახელებული ღონისძიებების გასატარებლად სამართალდარღვევათა დოკუმენტების ფორმების მიღება მიზანშეუწონელია.

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიულ და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა - სულიკო ჩხიკვაძემ აღნიშნა, რომ საკითხის ინიციატორი არის ქედის მუნიციპალიტეტის მერი, მაგრამ კორონავირუსთან დაკავშირებით დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტის მერი თანახმაა სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის თაობაზე საკითხი საკრებულოს სხდომაზე არ იქნას განხილული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები კომისიაში არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 4

წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეუწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სამართალდაღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების განსაზღვრის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე: _____ ამირან დევაძე